№ 1176 ხუთშაბათი, 1 მაისი 1914 წ. № 1176

# სახალხო გაზეთი

**განცხადების ფასი:** ნვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დასაქმელ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუშრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. შეტლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ანცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლა-პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

**რედაქცია და კანტორა** იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

**ტელეფონი № 12-29**

**გაზეთის ფასი წელიწადში** 3 მ. 50 კ., **ოვეში**—75 **კაპ.** **ცალკე № ყველგან** 5 **კ., დამატებიანი**—7 **კ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა**


**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე"**
**(სურათებიანი დამატებით)**

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ: 1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

**წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.**

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ. ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა წარიძღვება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თებერვამდე 2 მან. და დანარჩენი 1.50 კ. ერთი თვემდე.

მისამართი: Тифлисъ. газ.- Сахалхо Газети". П. Ящ. 190

**დავით ილარიონის ძე გაბრუაშვილი** და **მეუღლე ალექსანდრა გიორგის ასული შვილებითურთ: თამარა, ელენე, მარიამი** და **ნინოთი** გულდამწვარნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას ძვირფასს და დაუვიწყარ ვაჟიშვილის,

**გიორგი** (ყორა) **დავითის ძის გაბრუაშვილისას.**

გამოსვენება მოხდება დღეს, 1 მაისს, (კვირაცხოვლის სკოლის გვერდიდან), არხიპოვის ქუჩაბანდი, საკუთ. სახლი, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კოკორის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 302

**დედა კესარია, ძმები ივლიანე, პლატონი** და **შალვა გიორგის ძენი რამიშვილები** აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, 4 მაისს, დაუვიწყარი

**იორდანე რამიშვილის**

გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი 1) **ქალაქ ბაქოში** რკინის გზის ეკლესიაში 12 საათზე და 2) **ს. სურებში**, წმიდა გიორგის ეკლესიაში 12 საათზე. 1189

**დიდი ცირკი ფ. ა. სუპატოვისა**
**მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.**
ხუთშაბათი, 1 მაისი, 1914 წელი
**დღეს გაიმართება**
**წარმოდგენა „პლეზირი"**

სამი დიდი განყოფილებისაგან შემდგარი. მონაწილეობას იღებს მთელი დაჯილდოვებული დასი. დიდი სალამოს დღეს მონაწილეობს დამსახურებული დირექტორი ფ. ა. იუპატოვი, პატარა გლადიატორები რობერტსი, კომიკური „პირებიკ" ბ.ბ. სპერანსკები; კორ-დე-ბალეტი დაჯილდოვებულ მზეთუნახავ ქ-ნ ელენე იუბატოვის ხელმძღვანელობით, ტფილისის საზოგადოების საყვარელნი ყოველ-ღამიერ ჭირ-ვარამის მუსიკალური ეკსცენტრიკოსები ბ.ბ. როზენტნი (დღესაც ახალი რამ დღიურ ჭირ-ვარამზე).

ჩქარი დეპეშა: მოდის მომრიგებელი...

**ანონსი:** კვირას 4 მაისს ორი წარმოდგენა გაიმართება. დღისით **დაკლებული ფასებით ბავშვებისა და მოსწავლეთათვის.**

ცირკის დირექტორი **ფ. ა. იუპატოვი.** გამგე **ლ. ბ. ხუნდაძე.**
დასაწყისი სალამოს 8½ საათზე. 303

**დაიბეჭდა და იყიდება**
**ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა**

**ი. ბრეიდაშვილი.**

**წიგნში მოთავსებულია ბლომდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.**
**ფასი ერთი მანეთი**

ტფილისში წიგნი რსყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახ. ქუჩა) და კიკნაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი **გრ. რცხილაძესთან,** ოლოლას შესახვ. № 5. 1141

**სანატორიუმი**
**„რუსული დაჩა",**
**აბასთუმანში.**

**ბუღუსუტებისა, ხასნელ-ნაკლებისა, დაჭანცულთა და ფილტვების სნეულებით** ახლად **დაავადებულთათვის.** საუკეთესო განმარტოებული მშიანი, უქარო ადგილი ფიზვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაკსი და ტორაპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ეფიმს ბ. ბეზრაბიანცს, 4 მაისამდე** ქ. ტფილისში, **ბებუთოვის** ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1278 მეტ. ტფ. გუბ.

**ტელეფონი № 7—32.** 1087

მეორე ხარისხოვანი
**საქალაქო 4-კლასიანი**
**კერძო სასწავლებელი**
**ქნ. ჩერქეზიშვილისა.**

სკოლაში მისაღებად გამოცდაზე ჩაწერა **1 მაისიდან** დაიწყება. მისაღები გამოცდა საანბანო, უმცროს და უფროს განყოფილებაში მოხდება 23 მაისს, I და II კლასში—24 მაისს, მე-III კლას. 28 მაისს, მე-IV კლას.—29 მაისს.

**ალექსეევის ქუჩა, 17.** 501


## საქალაქო პარკი ვერაზე


**პირველ-ხარისხოვანი**
**რესტორანი**
ტელეფონი № 14—66
სამზარეულო აზიური და ევროპიული,
**მიიღება დაკვეთა სადილებისა, ვახშმებისა და სხვა.**

**ყოველ დღე** საღ. 7 ს. ღამის 2 საათამდე, ხოლო კვირაობით კი ნაშუადღევის 2—5 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე,
**უკრავს საკონცერტო სიმებიანი ორკესტრი**
საუკეთესო სოლისტებით, თავისუფალ ხელოვანის
**—◆ ლ. სტუპელ-ის ◆—**
ხელმძღვანელობით.

**ნავეგით სეირნობა**



**ტფილისის კერძო სამკურნალო**
**ტელეფონი № 590**
**ამბულატორია** **ბინა**

**ამბულატორიული განყოფილება** **ბინა** **ბინა**

**ბინა** **ბინა**

**ბინა** **ბინა**

**

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
**გ. ბ. მეგრაგიანცი**
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ბრონქი და გულის სნეულებათა. სპეციფიურად ბრონქისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვა-სხივურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე.
კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. ღარიბებს წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. უფასოდ.
ბებუთოვის ქ., 23. ტელეფ. № 7—92. 1516

ექიმი **შ. ა. მიქელაძე**
მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

**ვასწავლი**
ქართულ
**„სიგლარა - გალოგას“**
და ვამზადებ მომღერლებს დიდ გუნდი თვის, სამშ, პარასკ. 5—7, მუშებისათვის კვირაობით 3—5 ს., ავტ.-ლ. ქუჩა, № 29. მიდება და ნაერვა **მიხ. კავსაძესთან.** 1180

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს **ყოველ** დღე ნაშუადღ. 2—3 საათ., საღ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილის 8—9 ს., კვირ. ავადმ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი **ვ. ფუსხელიშვილი**
მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ძ. ბოგრაშვ**
ექიმი (დოკტორანტი).
**ვ. დ. ფინაძეძვრიშვილი**
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
**შინაგანი** და ბავშვთა სნეულებანი, ავადმყოფობანი **გულისა ფილტ.** და **სისხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ **დროს** სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
სწამლობს **საშარდე ორგ.**-განოთა, **ათაშანგისტ** კანის ავადმყ. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიდება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროვნი ქუჩის ახლო, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

## ტფილისი, 1 მაისი

**პირველი მაისი ქალორი დღესას-ლი.** რთველების ეროვნულ-წაული. ლი დღესასწაულია. ჩვენ დღეს ვიგონებთ ჩვენი ისტორიის ოქროს ეპოქას და ამ ეპოქის უდიდეს გამომხატველს თამარ მეფეს.

მაგრამ პირველი მაისი საერთაშორისო დღესასწაულია. დღეს მთელი ქვეყნის ხუმათა კლასი მშვიდობიანი დემონსტრაციის წყალობით თავის ძალებს სწონის, თავის რაზმებს სთვლის.

ამ ორი დღესასწაულის შეხვედრა შემთხვევითია, მაგრამ ის ღრმა მნიშვნელობისაა აღსავსე. როგორც თამარ მეფის მოგონება ისე საერთაშორისო გრძნობის დემონსტრაციი იდეური ხასიათის დღესასწაულია. პირველ შემთხვევაში ჩვენ ფოცნებობთ წარსულ დიდებაზე, მეორეში—მომავალ აღორძინებაზე. პირველს შემთხვევაში ჩვენს სევდით მშვენიერი წარსულისკენ ვიცქირებით, მეორეში—იმედით მშვენიერი მომავლისაკენ. მაგრამ ეს ორი გრძნობა ერთი ერთს შორის ხრულს ჰარმონიაში იყოფება.

ბრწყინვალე მომავალზე ოცნება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც მდიდარი წარსული აქვს. მიტომ რომ აღორძინება იმ ძალის გამოაშკარავებაა, რომელიც ერში დაგროვილა წარსულ საუკუნეთა განმავლობაში. დასავლეთი ევროპის რენესანსი შესაძლებელი გახდა, როცა ძველი კლასიკური კულტურის ნაშთები ხელახლა აღმოაჩინეს. ჩვენი მომავალი აღორძინებაც ეჭვი არ არის სხვათა შორის იმ ნიჭთა გაფურჩქვნა და მომწიფება იქნება, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში ჩაისახა ან გამოაშკარავდა.

საერთაშორისო გრძნობის განვითარება ეროვნული გრძნობის განვითარებას ჰგულისხმობს. საერთაშორისო კულტურა დაყრდნობილია ეროვნულ კულტურათა სიძლიერისა და სხვა და სხვაობაზე. იმ დიადს ოჯახში, რომელსაც განათლებული კაცობრიობა ეწოდება სრულუფლებიან და პატივსადებ წევრად მხოლოდ ის ერი ითვლება, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვანი შეაქვს საერთო კულტურულს სალარონში.

თუ თანამედროვე ქართველობას მართლაც ჰსურს კაცობრიობის ღირსეულ წევრად დარჩენა, თვალწინ მუდმივ ისტორიულ წარსულის ანდერძი უნდა იქონიოს, თუ მას უნდა რომ მის საერთაშორისო და ჰუმანიტარულს ლტოლვას რეალური საფუძველი ექნეს, მან წინაპართა მიერ დატოვებულს მემკვიდრეობას ახალი განძი უნდა შეჰმატოს.

ის ანდერძს სამშობლოს სიყვარული ჰქვიან, ამ მემკვიდრეობას კი—ეროვნული კულტურა.

**სიმწარის ყვირილი.** სახელმწიფო სათათბიროში მომხდარ ამბებისა და მემარცხენე დეპუტატების გამორიცხვის გამო მეტის-მეტად საგულისხმიერია კადეტების პარტიის საქციელი. კადეტებს ყოველთვის თავი მოსწონთ თავისი ოპოზიციონერობით და უნდა ვსთქვათ მართალი, რომ მათ წარმომადგენლებს უთქვამთ მწარე სიტყვა მთავრობისათვის, მაგრამ როგორც კი საქმეზე მიდგება ჯერი, კადეტები ისეთსავე ორპოფობას და გაუბედავობას იჩენენ; ისევ ერთგულობენ მთავრობას, როგორც წმინდა წყლის ოქტომბრისტები.

ამგვარი სილაჩრე გამოიჩინეს კონსტიტუციონალი-დემოკრატიულ პარტიის წევრებმა გორემიკინის სათათბიროში გამოსვლის დროს; მათი დეპუტატები არ მიემხრნენ შრომის ჯგუფისა და ს. დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატებს და მათთან ერთად არ გამოუცხადეს მკაცრი პროტესტი და აღშფოთება მთავრობის წინამძღოლს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ყოველად შეუფერებელი პოლიტიკისათვის და კერძოდ დეპუტატის სიტყვის თავისუფლების შელახვისა და ფეხით გათელვისათვის, რაიც გამოიხატა ნ. ჩხეიძის პასუხისგებაში მიცემით.

კადეტებმა ესეც არ იკმარეს და როცა სათათბიროს თავმჯდომარემ როძიანკომ მთავრობის საამებლად აღძრა საკითხი მეობსტრუქციე მემარცხენე დეპუტატების თხუთმეტი სხდომიდან გამორიცხვისა, მათ პირში წყალი დაიგუბეს, განზე გადგნენ და კრინტი არ დასძრეს: მთავრობამ არ იფერი დაგვწამოს, არ იფიქროს, ვითომც ჩვენ ობსტრუქციას ოდნავადაც არას ვიზიარებთო, მაგრამ აქავე დროს, რომ საზოგადოებას არა ეთქვა რა და კადეტთა პარტიას რომ ოპოზიციის სახელი არ დაჰკარგოდა, დეპუტატების გამორიცხვას პირდაპირ კი არ მისცეს ხმა, არამედ გაჩუმდნენ, ნეიტრალობა გამოაცხადეს, არც მწვადი დასწვეს ვითომ და არც შამფური.

კადეტებმა ხმა არ შეუერთეს შრომის ჯგუფისა და ს.-დემოკრატების პროტესტს, რომ ეს პროტესტი გამოსულიყო უფრო მძლავრი და მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა, არამედ გაჩუმდნენ და ამ გაჩუმებით გაძლიერეს და გაათამამეს მემარჯვენენები. ხოლო როცა საყვედურები მიაყარა საზოგადოების დემოკრატიულმა ნაწილმა და მრავალი გაკიცხვის დეპეშაც კი მიიღეს პროვინციებიდან, კადეტთა დეპუტატებმა თავის მართლება იწყეს: დღეს ობსტრუქცია შეუფერებელია, დღეს ობსტრუქცია სასოწარკვეთილებას მოასწავებს მხოლოდ და ოპოზიციის დამასუსტებელია.

მათის სიტყვით, დღეს შეუფერებელია ობსტრუქცია. მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ასე უდროოდ მიაჩნდათ გუშინ მთავრობის ხარჯთაღრიცხვის უარყოფა, რომელსაც დაბეჯითებით მოითხოვენ დღეს თვითონვე. გუშინ ოვაციით მიეგებნენ როძიანკოს თავმჯდომარედ არჩევას, დღეს კი თვითონვე ჰგმობენ და მიწასთან ასწორებენ მას. დღეს ბავშვობად მიაჩნიათ ობსტრუქცია, მაგრამ ბავშობა იქნება იგი ხვალ, როცა პასუხისგებაში მისცემენ არა ნ. ჩხეიძეს, არამედ მილიუკოვს თუ როდიჩევს და თხუთმეტი სხდომიდან გამორიცხავენ მათ პარტიის წევრებს არა ობსტრუქციისათვის, არამედ უბრალო მთავრობისათვის არა სასიამოვნო „უტაქტო“ საქციელისათვის!

კადეტები ყოველთვის იგვიანებენ ხოლმე, საარაკო პოლიციელების მსგავსად, და ხმას ამოიღებენ მხოლოდ ფაქტს შემდეგ. ისინი ვერ ჰგრძნობენ სავსებით, თუ რამდენად დაცემულია დღეს სათათბიროს ღირსება, ვერ შეუგნიათ სავსებით, რომ მთავრობამ რუსეთის ცხოვრება დაიქანა დაღუპვისაკენ, თორემ არ იტყოდნენ, რომ დღევანდელ პირობებში უადგილოა ობსტრუქცია და იგი სასოწარკვეთილების ხმაა. არა, მეტად შეხუთულია, მეტად შებორკილია საზოგადოებრივი ცხოვრება, მეტად აუტანელია მდგომარეობა, მეტად მწარეა ხალხის ტკივილები და ამ სიმწარის ყვირილია ობსტრუქცია. ძალზე გამწვავდა საზოგადოებისა და მთავრობის ურთიერთობა, ძალზე აღშფოთდა ხალხის სული და ასეთ დროს ადამიანი, რომლის უკანასკნელი უფლებაც ფიზით გაითელა, დამშვიდებით კი არ ლაპარაკობს, არამედ ყვირის, ყვირის გამწარებული, აღშფოთებული. თუმცა ვისთვისაა საჭირო ლაპარაკი, რომელიც არავის ესმის!

## ქართული პრესა

**გაზეთი „აზრი“** ასე ახასიათებს რუსეთის მუშების გონებრივ გამოღვიძებას: **დღევანდელი მუშა**

„მედგრად გაიძახის: ჩვენ, მუშებს გვშიან, სულიერი საზდო გვინდა და ამის მოთხოვნის უფლებას ვერავინ წაგვართმევსო. ამ გადაწყვეტილებით ის მიდის პროფესიონალურ კავშირებში, მუშათა კლუბებში, სახალხო უნივერსიტეტებში, მართავს სახალხო წარმოდგენებს, კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და სხვა.

„მუშათა კლუბი ჩვენთვის ისეთივე აუცილებელია როგორც ჰაერი“, ამბობს ერთი მოსკოველი მუშა.

და აი რუსეთში თან და თან იზრდება მუშათა განმანთლებელი საზოგადოებანი. „განათლების საზოგადოებას“, რომელიც მოსკოვშია დაარსებული, ერთი წლის განმავლობაში 3070 ახალი წევრი შემატა. „ქალთა დამხმარე საზოგადოებას“ 1912 წელს ასი წევრი ეთვლებოდა, წლის დამლევს 500-ზე ავიდა. „სამეცნიერო წრეში“ 1912 წელს ასი წევრი იყო, ცოტა ხნის შემდეგ ეს რიცხვი ცხრაჯერ გამრავლდა.

კიევში „განათლების გამავრცელებელ საზოგადოებაში“ 12,300 მსმენელს შორის 9,656 მუშა მსმენელი ირიცხებოდა.

უკანასკნელ დროს მუშათა მოძრაობა მეტ ცოდნას მოითხოვს. ამიტომაც სახალხო უნივერსიტეტები დიდ როლს თამაშობენ მუშათა ცხოვრებაში. მისი საშუალებით მუშა ღებულობს ცოდნას და მით შეიარაღებული უბრუნდება თავის საკუთარ საზოგადოებას, კლუბებს და კავშირებს, სადაც თამამად ეჩვევა თვით-მოქმედებას და საკუთარი ფეხით სიარულს.

* * *

**„ხასოფლო გაზეთში“** საერობო აგრონომი რ. გ—შვილი სწერს ტერიტორიის შენარჩუნებისათვის:

„თუ გვინდა, რომ მამულის სიყვარული გვქონდეს, ამისათვის საჭიროა მიწასთან ახლო დგომა, ჩავიხედოთ მის გულში, დავამუშაოთ კულტურულად, რომ ამ გზით მისგან ჯეროვანი შემოსავალი მივიღოთ. ეს კი არ მოხერხდება იქამდის, სანამ ჩვენი ახალგაზდობა არ შეიგნებს თვისს მოვალეობას და არ მიაშურებს სამეურნეო ცოდნა-განათლებას.

როდესაც ჩვენში გამრავლდება მცოდნე მეურნეთა რიცხვი რომლებიც დაუახლოვდებიან მიწას, შეისწავლიან მის ყოველ-გვარ თვისებებს და თავიანთ ცოდნა-გამოცდილობას შეიტანენ ხალხში, როდესაც მიწა მოგვცემს შესაფერ შემოსავალს და თვალსაჩინოდ წასწევს წინ მეურნეთა ეკონომიურ ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ შეიგნებს ღლეს ამის შეუძლებელი მიწის პატრონი თუ რა ძვირფასია, რა დიდი საუნჯეა რა ფასდაუდებელია ადამიანისათვის მიწა, მამული. მიშინ მიწას ასე ადვილად ვეღარავინ შეელევა, მიწის გაყიდვას მაშინ ადგილი ადარ ექნება.

დღევანდელი ცხოვრებისთვის მოუმზადებული მემამულე იმითი იმართლებს თავს, რომ მიწას შემოსავალი ადარ აქვს და მიტომ ვყიდიო; მაშინ კი ასეთ თავის გამართლებას ადგილი ადარ ექნება.

მაგრამ ნათქვამია: „სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გაძრესო—სანამ ასეთი დრო დაგვიდგებოდეს, ჩვენი თითო ორ-ორი მტკავალი მიწა ხელში ჩაგველევა!

ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, ვიმოქმედოთ ამ გზით, ცალიერ წერას, გაზეთების საშვალებით გოდებას ნუ დავყაბულდებით, ყველა ჩვენგანმა ეცადოს, ჩაუნერგოს მომავალ თაობას მიწის სიყვარული და პატივისცემა; მივცეთ თავის შვილებს ისეთი აღზრდა-ცოდნა, რომ შესძლონ მიწის მოვლა და მისი სიყვარული; მივცეთ მათ სამეურნეო განათლება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დაკისნათ ერთიანად გაყიდვისაგან ის ცოტა მიწა, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენია ჩვენებს. ვიმეორებთ: მიწა-წყლის დაფასება შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც მიწასთან მჭიდრო დამოკიდებულება აქვს, ამ რიგათ ყოველ მეურნეს ეღვიძება გულში მიწისადმი სიყვარული, ეპყრობა მას ადამიანურად, უვლის ჯეროვანად და აფასებს მიწის ყოველგვარ სუნთქვას თავისავე საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ, როგორც ეს სჩვევია გლეხობას.

თუ რა შედეგი მოსდევს მიწასთან გულცივობას ეს ცხადია თუ დაუკვირდებით რას წარმოადგენს უმიწა-წყლო ერი.“

* * *

**„თეატრი და ცხოვრება“** წინადადებას აძლევს ქართველ მსახიობებს, ყურადღება მიექცეონ მაჰმადიან ქართველებს:

„დადგა დრო, როდესაც ქართველი მსახიობის ხმაც უნდა გაისმას ქართველ მაჰმადიანთა შორის: სცენიდან მშობლიურ ჰანგების მოსმენა, სამშობლო ენით ამეტყველება, ეროვნულ გრძნობათა გადვივება,—აი რა ესაჭიროება დღეს უკულმართ გარემოებათა გამო გადაგვარების გზაზე შემდგართ...

სკოლამ, მწიგნობრობამ და ქართულმა სცენამ ხელიხელს უნდა ჩაჰკიდოს და დაიწყოს საალმშენებლო მოღვაწეობა...

დრო არ გვიცდის. საჭიროა შესდგეს რიგიანი დასი და გაემგზავროს მაჰმადიან ქართველებში წარმოდგენების გასამართავად, ასეთის მოგზაურობით შეიძლება სტამბოლს უწიოს და იქაურ ქართველთაც მოასმენინოს სცენიდან მშობლიური ხმა.,

რადა თქმა უნდა, რეპერტუარი შესაფერი უნდა შეირჩეს,—ჩვენი ისტორიული პიესები, სადაც განსაკუთრებით სარწმუნოებრივ ნიადაგზე სწარმოებს ბრძოლა,—არ ეამოდგება...

ისეთი რეპერტუარი უნდა შესდგეს, რომელიც არ შეეწინააღმდეგებოდეს ჩვენთა ძმათა სარწმუნოებრივ გრძნობა-ადათებს და ეცდება, გაუძლიეროს სამშობლოსადმი სიყვარული, უმაღლესი საერთაშორისო-ადამიანური ალაფერი, რომელიც ადამიანებს ერთმანეთს ერთ-ერთ ეროვნულ ალაფერ-ალაფერ ეროვნულ ალაფერ-ალაფერ ეროვნულ ალაფერ-ალაფერ

ხალხი გატაცებით მიისწრაფოდა ამ დიდებულ მიზნისკენ, მაგრამ არასოდეს მოძრაობა თანასწორობისა და ერთობისაკენ არ ყოფილა ისე ძლიერი, მტკიცე და გარკვეული, როგორც ჩვენს დროსაა...

წინად თუ იყო მისწრაფება, უფრო ინსტიქტიური, სტიქიური იყო, შეუგნებელი; არ იყო გათვალისწინებული, ნათლად წარმოდგენილი მიზეზი უთანასწორობისა და ის საშუალება, რომლითაც შეიძლება მისი სოსპობა. ადამიანთა შორის თანასწორობა და ერთობა დამყარდება მხოლოდ მაშინ, როცა ადარ იქნება ქონებრივი უთანასწორობა და ბრძოლა უთანასწორობის წინააღმდეგ თავს უნდა იდვას იმ კლასმა, რომელიც დღევანდელი სოციალური წესწყობილებით ასე დაჩაგრულია და ღირსება ჩამორთმეული, რომელიც ყველაზე მეტად დაინტერესებულია ერთობის დამკვიდრებაში. მომავალი საზოგადოებრივი წესწყობილება თუ განახლებას უმზადებს მთელს კაცობრიობას, მას ეს განახლება მოაქვს უპირველესად მუშათა კლასისათვის, ამიტომ ბრძოლა განსაახლებლად ამ კლასის პირველი საქმეა—აი ფორმა, რომელიც მიიღო დღეს ადამიანთა მუდმივმა წყურვილმა თანასწორობისამ...

ადრე მიაღწევს თავის მიზანს, თუ გვიან მუშათა მოძრაობა—ამის წინასწარმეტყველობას ჩვენ არ ვკისრულობთ აქ. ხოლო თანასწორობის მისწრაფება ისეთი ძლიერია, ღრმა, გარდაუვალი, რომლის ჩაკვლა და ჩაქრობა არავის და არაფერს ძალუმს... იმიტომ კი არა, რომ ეკონომიური განვითარებას სტიქიური ჩვენის შეგნებისა და მონაწილეობის დამოუკიდებლად მივყავდეთ საზოგადოებრივ წესწყობილებისაკენ, არამედ იმიტომ, რომ კაცობრიობის განვითარებული ხელობა ვერასოდეს ვერ შეურიგდება ერთმანეთის დაჩაგვრაზე დამკვიდრებულს ცხოვრებას...

საჭიროა ყოველთვის ნათელი გათვალისწინება მუშათა მისწრაფების არსებისა და შეგნება მისი საკაცობრიო ხასიათისა.

მაგრამ ქართველმა მუშებმა ამავე დროს არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი არიან წევრები განსაზღვრული ერისა, რომელიც ავალებს მათ ეროვნული ინტერესების დაცვას. კაცობრიობა არ არსებობს ნამდვილად, იგი ცოცხლობს მხოლოდ ერებში; ერებში გამოიხატება მისი ნიჭი, ზნეობა, შემოქმედება, აზრი, მისწრაფება. ეროვნება აუცილებელი სახეა, რომელიც უნდა მიიღოს ყველაფერმა საკაცობრიომ, საერთომ და თუ ეროვნება შებორკილია, ეროვნული შეგნება დაჩლუნგულია, ფრთა შეკვეცილია ეროვნული გენია, მაშინ საკაცობრიო იდეალ საქმე ვერასოდეს ვერ ჰპოვებს ნიადაგს დამკვიდრებისა და გავრცელებისათვის. ამიტომ სწორედ ის კლასი, რომელიც განუმზადებს კაცობრიობას უკეთეს მერმისს, ყველაზედ მეტად მონდომებული უნდა იყოს, რომ ყველა პატივისცემით ეპყრობოდეს ეროვნებას, რომ სრულიად განვითარდეს ყოველი ერის თავისებური შემოქმედება. ერის უფლებათა საუკეთესო დამცველი მშრომელი კლასი უნდა იყოს...

ამგვარი დაცვა მოკლებულია ყოველგვარს განცალკევებულობას ან კარჩაკეტილობას. ეს მხოლოდ აუცილებელი პირობაა ქვემარიტი ადამიანობისა ქართველ ხალხში. ქართველი მუშა უნდა გრძნობდეს, რომ თავის ნაციონალურ ძალების განვითარებით იგი უფრო ღრმად და სწრაფად დაეწაფება უმაღლეს საკაცობრიო იდეალს, უფრო მოემზადება; მომავალი ბედნიერებისათვის და უფრო გაიუმჯობესებს ახლანდელს ცხოვრებასაც. შეიძლება იყოს მამულიშვილი და თან კაცობრიობის საუკეთესო წევრი; გიყვარდეს შენი ერი და სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდე სხვა ერებს, და ყველა ერის მუშებთან ერთად მიიწრაფოდე საერთო მიზნისკენ...

**სიტყვა.**

## ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲘᲜᲪᲘᲜᲓᲔᲜᲢᲘ

ქუთაისში მომხდარი ინცინდენტი ხაზოგადოდ სასიამოვნო მოვლენა არ არის. სასიამოვნო არ არის არა იმიტომ, რომ იგი ეგრედ წოდებულ „კულტურულ“ ბრძოლის საშუალებების საზღვრებს სცილდება, არამედ სრულიად სხვა თვალსაზრისით. ძნელია გამტყუნება ადამიანისა, თუ მისი სინიდისი საშინლად აღშფოთებულია და ეს აღშფოთებული სინდისი პროტესტში ჰპოულობს გასავალს. არის შემთხვევები, როდესაც მშრალი ლოღიკის ადგილს იჭერს გრძნობა და ეს გრძნობა იმ ეენად უფრო ძლიერია, რამდენადაც მეტად არის შეურაცყოფილი ადამიანის წმინდათა-წმინდა. პეტრე გელეიშვილის ლექციამ რომ ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია ქუთაისის საზოგადოებაში, ეს სრულიადაც არ არის გასაკვირველი. ვერც იმას გავიკვირვებთ, რომ დაილაპარაკა უშუამავლო გრძნობამ პროტესტისამ მაშინ, როდესაც ერთბელ კიდევ მოისურვეს ილიას სამარადისო ხსოვნის გამასხარავება. რა იწვევს ამ შემთხვევაში აღშფოთებას? განა ის, რომ ილია ჭავჭავაძის აზრებს არ იზიარებენ? სრულიადაც არა. ილია ჭავჭავაძის ნაწერები ბევრის მხრით გაურჩევიათ. განსვენებული არჩილ ჯორჯაძე ჯერ ისევ სიცოცხლეშივე ეკამათებოდა ილიას, მოკვლის შემდეგაც სწერდა მის შესახებ, მაგრამ არც ერთხელ მის კრიტიკულ შენიშვნებს აღშფოთება არ გამოუწვევია. იმავ არჩილ ჯორჯაძემ დასწერა მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ. ვინ იტყვის, რომ ეს მონოგრაფია მხოლოდ ქება-დიდებაა დიმიტრი ყიფიანისა? ვერავინ. მაგრამ ამ მონოგრაფიას უკვე მთელი შეგნებული ქართველობა იცნობს და სათანადოდ აფასებს კიდეც მას. არჩილ ჯორჯაძე ბევრს რამეში არ ეთანხმებოდა არც ილიას და მით უფრო დიმიტრი ყიფიანს. მაგრამ ისტორიული თვალსაზრისი და ობიექტივობა კეთილსინდისიერი მკვლევარისა მიმზიდველად ხდიდა ამ კრიტიკას.

სულ სხვაა კრიტიკა პეტრე გელეიშვილის მსგავსი ადამიანებისა. როდესაც მათს ნაწარმოებსა კითხულობს ადამიანი, ან მათს ნალაპარაკევს ისმენს, თავს ვერ იმაგრებს აღშფოთებისაგან. ეს ჰხდება იმიტომ, რომ მათს სიტყვებში, გარდა კრიტიკისა, არის ბევრი რამ ისეთი, რასაც არაფერი საერთო არა აქვს კრიტიკასთან. ჰგრძნობ, რომ მათ სძულთ, ეზიზღებათ ილია, ისინი ებრძვიან არა ილიას აზრებს, ებრძვიან ილიას, როგორც პიროვნებას. ამასთანავე ერთად კილო ისეთი აქვთ, თითქოს ცოცხალ ადამიანს ებრძოდნენ და არა მხოლოდ სახელს, რომელსაც უკვე ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამკობენ ილიას სახელს ეპიტეტებით, რომლებსაც მის სიცოცხლეში, გაცხარებული პოლემიკის დროს, იქნება ჰქონოდა რაიმე გასასამართლებელი საბუთი, მაგრამ, რომელთაც ეხლა, მას შემდეგ, რაც იგი თავგაჩეხილი დააგდეს წიწამურის ველზე, მხოლოდ უკიდურესი აღშფოთების გამოწვევა შეუძლიან. პეტრე გელეიშვილისთანა ადამიანები ებრძვიან ისტორიულ სახელს, როგორც ცოცხალ პიროვნებას, მზად არიან ტალახში ამოსვაროს, **შეურაცხყონ** მკვდარი ადამიანი, შეურაცხყონ ის, ვისაც ვედარ შეუძლიან მათ თავ-აღებულ უსინიდისო ვაკხანალიას პასუხი გასცეს და დაიფაროს თავისი თავი უმართებულო ცილისწამებისაგან. საშინელ შთაბეჭდილებასა სტოვებს ეს უსინიდისო ბრძოლა გელეიშვილებისა ილიას აჩრდილთან, რომელიც მათ ძოწახამულ გონებას მოსვენებას არ აძლევს.

აი ეს არის, აღშფოთებას რომ იწვევს ხალხში. რა გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ აღშფოთებული საზოგადოება გამოესარჩლოს შეურაცყოფილ ილიას ხსოვნას და სტვენით დაუხვდეს იმას, ვისაც ილიას სახელის ტალახში თრევა ხელობად გადაუქცევია?

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჩვენ პირადად ასეთი დემონსტრაცია ზედმეტად მიგვაჩნია. არიან ადამიანები, რომლებიც პროტესტის ღირსნიც არ არიან. პეტრე გელეიშვილი ერთი ამისთანა ადამიანთაგანია. ვინ არის პეტრე გელეიშვილი? პირადებული, ლაქლაქა მწერალი, რომელსაც შუბლზე მარქსისტული იარა ხელი ქართველებს სიღნაღის არჩევნებში? „ჰორიზონი“ ხომ თითონვე ბრძანებს, თუ დღემდის სულ სომხები იმარჯვებდნენ, ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ქართველი ამომრჩევლები დაინტერესებული არ იყვნენ საქალაქო არჩევნებითაო. ეხლა ხომ დაინტერესდნენ? დაინტერესდნენ და კიდეც შეჰქმნეს უთრავლესობა, რომლის შემწყობითაც ქართველებს შეეძლოთ მთლად ქართველები აერჩიათ. როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში ქართველები ერთის მხრით და სომხები, მეორეს მხრით. ქართველებმა სოლიდარული მოქმედება მოისურვეს. გამართეს მოლაპარაკება საერთო სიის შესადგენად. მაგრამ სომხებმა ეს არ მოისურვეს. ბათ უმჯობესადა სცნეს ხრიკისთვის მიემართათ და „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ დახმარებით საქმე ისე მოეწყოთ, რომ ქართველების უმრავლესობისთვის დაეკარგათ ის ძალა, რომელიც ხელთ აქვს ყოველს უმრავლესობას. ეს შესაძლებელი გაჰხდა სიღნაღის ორ ხელოვნურ საარჩევნო უბნის შექმნის საშუალებით. სოლიდარობასა და მეგობრობის ნაცვლად სომხებმა თავისკენ გაიწიეს და მოახერხეს კიდეც ისე, რომ ქართველ ამომრჩეველთა დემოკრატიული უმრავლესობა პირჩალა გამოვლებული დარჩა.

ამის შემდეგ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სოხის ინტელიგენციის შეგნებული ნაწილი დაჰგმობდა მაინც სიღნაღელ ვაჭრების საქციელს, რომელიც დასაგმობია საზოგადოდ, როგორც საშუალება ბრძოლისა. როდესაც საქალაქო საარჩევნო საქმეში უსევეს გარეშე ძალას და ამ გარეშე ძალის დახმარებითა ჰსურთ გამარჯვება, სრული იმედი უნდა გვქონოდა, რომ ასეთი საშუალება ბრძოლისა ბუნებრივ გულის-ყურომას გამოიწვევდა იმ სომხებში, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ უნარი ავისა და კარგისა, ზნეობრივი და უზნეო საქციელის გარჩევისა. პროტესტის ნაცვლად „ჰორიზონმა“ პირი ჩაიტკბანურა, ჩვეულებრივის წესით ყოველ-გვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა ზურგიდან და... ქართველებს შეუკურთხა, ნაციონალისტები ხართო.

ვისაც ესმის, რა არის სოლიდარობა, ასე არ იქცევა. იგი სიტყვიერად მაინც დაჰგმობდა ინიდ საქციელს, ვინც ასე აბუჩად იგდებდა ქართველ დემოკრატიულ ნაწილის უფლებებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის რაღად ავაწყდება „ჰორიზონს“, რომ სიღნაღის ვაჭრების ხრიკების მსხვერპლი შეიქმნა ულარიბესი ნაწილი სიღნაღის ამომრჩევლებისა, ის დემოკრატიული მასსა, რომელიც დღემდის დაინტერესებუარ იყო საქალაქო არჩევნებით და ეხლა კი დაინტერესდა? „ჰორიზონს“ ხომ თავისი თავი დემოკრატად და ინტერნაციონალისტად მოაქვს? მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ახალი ჯურის დემოკრატიული ორგანოსთვის, დემოკრატიზმი მხოლოდ ის არის, რომ სიღხაღელ სოვდაგრებს გაუმაგროს ზურგი და მოუწონოს საქციელი, რომელსაც არც ერთი პროგრესიული ორგანო არ მოიწონებს. ალბათ მისთვის სიღნაღის სოვდაგრების ინტერესები უფრო ძვირფასია, ვიდრე სიღნაღის დემოსისა, რომელიც იმდენად აინტერესებს, რამდენადაც სოვდაგრების კარგს საექსპლოატაციო საგანს წარმოადგენს.

ვერაფერი დემოკრატობაა. ტყუილადა ჰგონია „ჰორიზონს“, რომ შესაძლებელია არა დემოკრატიული მოქმედება და მისი დემოკრატიული ფრაზეოლოგიით გადაფუჩეჩება ვისაც სოლიდარობა ჰსურს, იმან **საქმით** უნდა დაამტკიცოს ეს სოლიდარობა და არა სიტყვების რახარუხით.

**გ. ბარელი.**

## სათათბიროს 15 სხდომიდან 22 აპრილს დათხოვნილი დეპუტატები.

1. ჩხენკელი, 2. სკობელევი, 3. ჩხეიძე, 4. პეტროვსკი, 5. მალინოვსკი, 6. იაგელო, 7. ხაუსტოვი, 8. შაგოვი, 9. ბურიანოვი, 10. ტულიაკოვი, 11. მანკოვი, 12. კერენსკი, 13. ძიუბინსკი, 14. გელოვანი, 15. რისლევი, 16. იანუშკევიჩი, 17. ვერშინინი, 18. სტარლიჩნოვი, 19. კეინისი, 20. სუხანოვი.

## ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲑᲐ

ჩემი მოლოდინი გამართლდა და სომხური პრესა „ჰორიზონი“-ს ჭირით ჩვენვე გაგვიგვედავა იმ არა საკადრისი საქციელისთვის, რომელიც სიღნაღის ვაჭრებმა ჩაიდინეს თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. სომხის ვაჭრებმა ხელოვნურის საშუალებით ქართველ დემოკრატიას საშუალება მოუსპეს თავისი რეალური ძალა გამოეჩინა, სიღნაღი ორ საარჩევნო უბნად ვაჭყვეს იმ ვარაუდით, რომ სომხის ვაჭრები უმრავლესობად გადაქცეულიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობას შეადგენენ, უარჰყვეს შეთანხმება ქართველებთან, გახალებულ, მოამზადებულ პირთა ნაცვლად აირჩიეს ხეპრე, გაუნათლებელი ვაჭრები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სომხები არიან და არა ქართველები, და, თქვენ წარმოიდგინეთ, შოვინისტები და ნაციონალისტები მაინც ჩვენ გამოვედით. სიღნაღელმა ვაჭრებმა ცინიკურად გადალახეს ყოველგვარი საზღვრები მეგობრული განწყობილებისა, სიღნაღის ქართველთა ულარიბეს ნაწილს ბრძოლა გამოუცხადეს და ნაციონალისტები მაინც ჩვენა ვართ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს აღვნიშნეთ. თუ ნაციონალისტი უგვანო საქციელის აღმნიშვნელია, რა უნდა დაერქვას მის ჩამდენს? „ჰორიზონი“ სწერს: „მართალია, ათი წლობით ზედი-ზედ ქალაქის თვითმართველობის ბედ-იდბალი განსაკუთრებით სომხების ხელში იყო; ამის მიზეზი ის არის, რომ უმეტესი ნაწილი ცენზიანი ქართველი ძმამულეებისა ძალიან ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი საკითხებით, რომლებიც კი ქალაქის თვითმართველობას ეხებოდა, და ამ მიზეზით სომხების ცენზის მქონე პირებმა შეადგინეს ამრჩეველთა უმრავლესობა. დღეს ქართველ ინტელიგენციას და მწერლობას ძლიერი სურვილი აქვთ გარდაქმნან მათთვის არა ხელსაყრელი პირობები, მაგრამ მათ გარემოება ხელს არ უწყობს“. რატომ არ ბრძანებს „ჰორიზონი“ რა გარემოებაა ის გარემოება, რომელიც ქართველებს ხელს არ უწყობს? ან, კონკრეტიულად რომა ვთქვათ, რამ არ შეუწყო ხელი ქართველებს სიღნაღის არჩევნებში? „ჰორიზონი“ ხომ თითონვე ბრძანებს, თუ დღემდის სულ სომხები იმარჯვებდნენ, ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ქართველი ამომრჩევლები დაინტერესებული არ იყვნენ საქალაქო არჩევნებითაო. ეხლა ხომ დაინტერესდნენ? დაინტერესდნენ და კიდეც შეჰქმნეს უთრავლესობა, რომლის შემწყობითაც ქართველებს შეეძლოთ მთლად ქართველები აერჩიათ. როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში ქართველები ერთის მხრით და სომხები, მეორეს მხრით. ქართველებმა სოლიდარული მოქმედება მოისურვეს. გამართეს მოლაპარაკება საერთო სიის შესადგენად. მაგრამ სომხებმა ეს არ მოისურვეს. ბათ უმჯობესადა სცნეს ხრიკისთვის მიემართათ და „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ დახმარებით საქმე ისე მოეწყოთ, რომ ქართველების უმრავლესობისთვის დაეკარგათ ის ძალა, რომელიც ხელთ აქვს ყოველს უმრავლესობას. ეს შესაძლებელი გაჰხდა სიღნაღის ორ ხელოვნურ საარჩევნო უბნის შექმნის საშუალებით. სოლიდარობასა და მეგობრობის ნაცვლად სომხებმა თავისკენ გაიწიეს და მოახერხეს კიდეც ისე, რომ ქართველ ამომრჩეველთა დემოკრატიული უმრავლესობა პირჩალა გამოვლებული დარჩა.

ამის შემდეგ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სოხის ინტელიგენციის შეგნებული ნაწილი დაჰგმობდა მაინც სიღნაღელ ვაჭრების საქციელს, რომელიც დასაგმობია საზოგადოდ, როგორც საშუალება ბრძოლისა. როდესაც საქალაქო საარჩევნო საქმეში უსევეს გარეშე ძალას და ამ გარეშე ძალის დახმარებითა ჰსურთ გამარჯვება, სრული იმედი უნდა გვქონოდა, რომ ასეთი საშუალება ბრძოლისა ბუნებრივ გულის-ყურომას გამოიწვევდა იმ სომხებში, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ უნარი ავისა და კარგისა, ზნეობრივი და უზნეო საქციელის გარჩევისა. პროტესტის ნაცვლად „ჰორიზონმა“ პირი ჩაიტკბანურა, ჩვეულებრივის წესით ყოველ-გვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა ზურგიდან და... ქართველებს შეუკურთხა, ნაციონალისტები ხართო.

ვისაც ესმის, რა არის სოლიდარობა, ასე არ იქცევა. იგი სიტყვიერად მაინც დაჰგმობდა ინიდ საქციელს, ვინც ასე აბუჩად იგდებდა ქართველ დემოკრატიულ ნაწილის უფლებებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის რაღად ავაწყდება „ჰორიზონს“, რომ სიღნაღის ვაჭრების ხრიკების მსხვერპლი შეიქმნა ულარიბესი ნაწილი სიღნაღის ამომრჩევლებისა, ის დემოკრატიული მასსა, რომელიც დღემდის დაინტერესებუარ იყო საქალაქო არჩევნებით და ეხლა კი დაინტერესდა? „ჰორიზონს“ ხომ თავისი თავი დემოკრატად და ინტერნაციონალისტად მოაქვს? მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ახალი ჯურის დემოკრატიული ორგანოსთვის, დემოკრატიზმი მხოლოდ ის არის, რომ სიღხაღელ სოვდაგრებს გაუმაგროს ზურგი და მოუწონოს საქციელი, რომელსაც არც ერთი პროგრესიული ორგანო არ მოიწონებს. ალბათ მისთვის სიღნაღის სოვდაგრების ინტერესები უფრო ძვირფასია, ვიდრე სიღნაღის დემოსისა, რომელიც იმდენად აინტერესებს, რამდენადაც სოვდაგრების კარგს საექსპლოატაციო საგანს წარმოადგენს.

ვერაფერი დემოკრატობაა. ტყუილადა ჰგონია „ჰორიზონს“, რომ შესაძლებელია არა დემოკრატიული მოქმედება და მისი დემოკრატიული ფრაზეოლოგიით გადაფუჩეჩება ვისაც სოლიდარობა ჰსურს, იმან **საქმით** უნდა დაამტკიცოს ეს სოლიდარობა და არა სიტყვების რახარუხით.

**გ. ბარელი.**

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲡᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

„რუსკ. ვედ.“-ი № 95 ასე აგვიწერს პირველ მაისობას იტალიაში.

წითელი დროშები, წითელი ყელსახვევი, წითელი ვარდ-ყვავილი დამშვენებული გული, წითლად მორთული ტრიბუნაზე მოელვარე წითელი სიტყვები... არ ისმის ტრამვაის ხმაურობა, ეტლები ქუჩაში არ ირევა, მაღაზიები დაკეტილია... რა სურათი იხატება იმის თვალწინ, ვინც საშინელ სიტყვების გაგონებაზე: „პროლეტარიატი“, „ინტერნაციონალი“ დამფრთხალის თვალებით აქეთ-იქით იცქირება! საშინელ სიზმრებს ჰხედავენ იმ დღეს გონება დამფრთხალი ადამიანნი, რომელთაც ამისთანა ამბებზე ჩურჩულით უნდა ელაპარაკო.

თვით გაზაფხულის, სიცოცხლის და ხალისის სიტყვებიც „პირველი მაისი“ მათთან ჩუმად, კრძალვით უნდა წარმოსთქვა.

„რა ამბავია დღეს? გაფიცვაა? ეკითხება სადემონსტრაციოდ გამოსულს მუშას შინისკენ მიმავალი მფრთხალი მოქალაქე.

„რის გაფიცვა! წყენით უპასუხებს მუშა, დღეს **ჩვენი** დღესასწაულია.“

რომის პოლიციის ყოველი დაბალი მოხელე თქვენს გულ-უკრყვილო კითხვაზე გაკვირვებით გეტყვით:

— პირველი მაისი მუშათა დღესასწაულია. ტრამვაიც ამიტომ არ დადის. გაფიცვა კი არავითარი არ არის.

ამ აზრს ისე შეეჩვევნენ, შეეთვისნენ, როგორც ზობის დღესასწაულს, როგორც აღდგომას. მუშათა კლასსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი დღესასწაული, ისევე, როგორც სტუდენტებსა აქვთ თავიანთი; ხომ დღესასწაულობენ რომის დაარსების წლის თავს, იტალიის გაერთიანებას, მადონ ს დღესასწაულს! როდესაც დღესასწაულებებში, მუშაობა შეწყვეტილია, განა ამას გაფიცვა დაერქმევა? სრულიადაც არა. პირველი მაისიც მუშათა დღესასწაულია და ისინიც ღირსეულად იხდიან ზეიმს. მუშათა დღესასწაულიც ისევე კანონიერია, როგორც სხვა დიდი ბედნიერი დღეები. ამ დღეს ყველას თავისუფლად შეუძლიან გული დაიმშვენოს წითელი ყვავილით, როგორც „თეთრი ყვავილის“ დღეს გვირილით. ძნელია იტალიაში მოიპოვოს ისეთი კაცი, რომელიც სხვანაირად ჰფიქრობდეს. პირველი მაისს კანონიერ დღესასწაულად აღიარებისთვის სრულიადაც არ არის საჭირო ადამიანი სოციალისტი იყვეს. იტალიაში ამ დღეს წითელი ფერი არავის აშინებს. „არც გაფიცვაა, არც აბობოება, არამედ მუშათა დღესასწაულია; რისი უნდა გვეშინოდეს?! ასე მსჯელობს იტალიის მოქალაქე.

ქალაქის განაპირა მოედანზე ხალხი შეჯგუფულია. მოლაპარაკენი მქუხარე სიტყვებს ამბობენ, ეუბნებიან ერთმარტივებს პირველ მაისის ხსენებლობას. იქვე სდგას პოლიციელი და ისმენს სიტყვებს; მოლაპარაკე მოლაპარაკეს ისმენდეს, სიტყვა-სიტყვას; ხალხიც აღფრთოვანებით ისმენს, მოლაპარაკეთ მხურვალე ტაშით აჯილდოვებს.

ერთი მუშა უკანასკნელს სიტყვას ამბობს: „ამხანაგებო! თქვენ მოისმინეთ სიტყვები და ეხლა დროა სახლში წასვლისა. დავიშალნეთ, მივხედოთ ჩვენს ცოლ-შვილს, რომელნიც მოგველიან და ოჯახურ სიტკბოებაში გავატაროთ ეს დღესასწაული“.

მუშები მხიარულად, ჟივილ-ხივილით იშლებიან.

## მოზერილი ამბები

**სოფელი რუისი** (გორის მაზრა) ამ სოფელში 600—700 მცხოვრებელი კომლია უმეტესი ნაწილი კი გლეხობაა, მცხოვრებლები აზნაურებიც არიან; სახელდობრ, ფანიაშვილები, გვარამაძეები, მამაცაშვილები, კლიმიაშვილები, დაფქვიაშვილები და დეკანოზიშვილები. საუბედურო, მიუხედავად მცხოვრებლების ამოდენა რიცხვისა, ნოფლები სრულებით უმწეო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ეს რამდენიმე წელიწადია გაჩნდნენ ღამის ოაინდები და თავისუფლად ნავარდობენ. ისედაც განადგურებულ და წელში გატეხილ ხალხს ანადგურებენ. რომ კიდეც იჩივლო სადაე, ყველგან მოხვაძეს კითხულობენ, ისიი კი რასაკვირველია, ისე სჩადიან დანაშაულს, რომ ოოხვაძეს არ ისურებეს. ან კიდევ თუ გაბედე რაძე და სთქვი მათ შესახებ, ეაძინ ჯერ უხდა წახვიდე მღვდელს აღსაარება უთხოა და ეზიარო, ან და აიკიდო ძეხი გუდა-ხაბადი და სოფლიდან შეხი თავი შენვე გადაასახლო. აი აიტომ მიხდა ვაძაცხო საზოგადოებას აქაური „საქძენი საგმიროხი“, იქნება გათახსირებულნი და სულით დაცემული კაცუნები შერცხვეს და ჩაუფიქრდეს, ოას სჩადიან. გაქურდეს ალავით ეამაცაშვილის სახლი (პატრონის სახლში არ ყოფნის დროს) ისე, რომ, წარმოიდგინეთ, ხულის სურაც არ დაუტოვებიათ. 10 ძარტს საღამოს 8 საათი იქნებოდა, როდესაც სახლში ბრუნდებოდა ზაალ მამაცაშვილი, დახვდნენ ორღობეში ჩასაფრებული ილ. ხვ—ძე და გ. ვ.—რიძე, კბტეებით ხელში და შეუტიეს „ძმოგვეცი რაცა გაქვსო“ და როდესაც იმისგან ვერაფერი მიიღეს, სასიკვდილოდ სცემეს 65 წლის მოხუცებულს. ეს საქმე ემცხო როგორც მამასახლისს, ისე სოფ. ქარელის ბოქაულს. ხაცემობა შეაბოჭვა ს. ქარელის ექიმმა ბ. ციციშვილმა. საქმე სწარმოებს, დაცემულები კი არხეინად დასეირნობენ სოფელში. ჯავახეთში სიმშილობის გამო, ჩვენს სოფელს შემოეხიზნა იქაური რადენიმე მცხოვრებელი თავ-თავიანთი საკოლხით, მაგრამ აქ უფრო დიდი უბედურება დაატყდათ თავს.

21 ძარტს შეჰპარვიათ ბოსელში ვიღაც ხელ-ბედნიერი, აუშვია 5—7 სული საკონელი და წაუსხამს, ამათში რამდენიმე ძროხა და დაუტოვებიათ ჩვილი ხბოები. საზარელი სურათი იყო! ერთი მხრით ტირილი და ქვითინი საწყალ ჯავახებისა და მეორე მხრით ძღვილი ურძეოდ დარჩენილ ხბოებისა. აქაც ქურდები ვერ აღმოჩინეს. თებერვლის ბოლო რიცხვებში ბოსლიდან ცოჰპარეს სამი ცხენი ფანიაშვილს. ქურდები ვერ დაიჭირეს. საერთო რიცხვი 1913 წ. ე. ი. ერთი წლის განმავლობაში დაკარგული ცხენებისა 12-მდეა. პოვნით ვერც ერთი ვერ უპოვიათ და არც ქურდები სჩანან.

აი ასეთია სურათი ამ სოფლის ახლანდელი მდგომარეობისა. ნუ თუ ხალს კიდევ დიდხანს ეძინება და ზომებს არ მიიღებს აქაურ „დევ-გმირთა“ ასალაგმავად?

ნუ თუ ყურადღება არ უნდა მიექცეს ამ სავალალო მდგომარეობას, ვისგანაც ჯერ არს?

ნუ თუ ეს ვაგბატონები, დარჩებიან დაუსჯელნი და სოფლელების ხმა დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა?

ვგონებ არა!.. სოფლელებს აქვთ საშუალება გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან. ამისათვის საჭიროა, რომ შეთანხმდნენ ყველა კეთილსინდისიერი სოფლის მცხოვრებლნი და საერთო ძალით ებრძოლონ ბოროტებას და ან პირდაპირ დაასახელონ ისინი, ვისზედაც ეკვი აქვთ ან და ფარული კეხქის ყოის საშუალებით. თუ მთავრობა მათ არ დასჯით, საჯაროდ ხომ თავი მოეკრიბათ, რადგანაც ეცოდინებათ, თუ ვინ ჰბრძანდებიან ეს ვაგბატონები! (თემი).

**რუისელი.**

## რუსეთი

**პროფ. ბოდუენ დე კურტენეს საქმე.**

24 აპრილს სენატში განიხილეს ბოდუენ-დე-კურტენეს საქმე; ბობუდენ-დე-კურტენეს ოლქის სასამართლომ ორი წლის ციხე მიუსაჯა წიგნისთვის „თვისებანი ტერიტორიალური და ეროვნული ავტონომიისა“. ეს განაჩენი სენატში განსაჩივრა მისმა დამცველმა გრუზენბერგმა და აგრეთვე პროკურორმაც, რომელმაც მოითხოვა პროფესორის სასჯელის გაძლიერება. საქმის განხილვას აუარებელი ხალხი დაესწრო; განსაკუთრებით პროფესორები და მეცნიერნი. გრუზენბერგის და ბრალმდებელის სიტყვების შემდეგ, სენატმა ცოტა ხანს ითათბირა და გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც დამცველთა საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა. პროკურორის პროტესტი კი შეიწყნარა, გაუქმა პალატის განაჩენი, რომელიც ეხება 1034 მუხლის მესამე ნაწილით გასამართლებას ბ დაადგინა, საქმე ამ მუხლით კვლავ განიხილონ.

**საკითხი სათათბიროდან დეპუტატების გამორიცხვის შესახებ.**

სახელმწიფო საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქმნა საკითხი სათათბიროს თავმჯდომარის ამბანა-

გის კონოვალოვის სამართალში მიცემისა. როგორც ამბობენ კონოვალოვის სამართალში მიცემა სასურველად არა სცნეს, რადგან შეიძლება ამან სათათბიროში საქმე გაამწვაოს მთავრობას ზომიერი ელემენტებიც კი ჩამოაშოროს. ამათთან შეთანხმებით კი მთავრობა ჰფიქრობს საკანონმდებლო მუშაობის მოწესრიგებას.

**დეპუტატების განდევნის გამო.**

ესდეკები ტ შრომის ჯგუფელები ამბობენ, რომ მათ სრულებით არაფერი უცნობებიათ რომიანკოსათვის. 15 სხდომიდან განდევნა ყველასათვის მოულოდნელი იყო. ისინი თურმე, ფიქრობდნენ, ორი სამი კრებიდან გაგვაძევებენო. შრომ-ს ჯგუფის თავმჯდომარემ კერენსკიმ ნიჟნი-ნოვგოროდიდან, სამარიდან, ტფილისიდან, მოსკოვიდან, სიმბირსკიდან, ჩერნიგოვიდან, პოლტავიდან, ბაკოდან, ვილნოდან, ვორონეჟიდან, ხარკოვიდან, კიევიდან და უცხოეთიდანაც დეპეშებით თანაგრძნობა მიიღო სხვა და სხვა ჯგუფებისა და ორგანიზაციებისაგან. ს.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარემ ჩხეიძემ ბერლინიდან მიიღო: „მიიღეთ ჩვენი ულრმესი აღტაცება და თანაგრძნობა იმ ბრძოლისათვის, რომელსაც თქვენ ეწევით სიტყვის თავისუფლებისათვის“.

**კანონპროექტი დეპუტატების პასუხისუგებლობის შესახებ.**

25 აპრილს კადეტებმა სათათბიროში შეიტანეს წინადადება, რომ სასამართლო კომისიამ წარადგინოს მოხსენება პროგრესისტების საკანონმდებლო მოსაზრების შესახებ, რომელიც ეხება დეპუტატების პასუხისუგებლობას სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვებისათვის. მოხსენება სამი დღის განმავლობაში უნდა შეიტანონ.

## უცხოეთი

**კონსერვატორთა ბელადების აზრი ოლსტერის შესახებ.**

ასკვიტისა, ჩერჩილის, ბონორლოუსა და კერსონის სამშვიდობო განცხადებათა შემდეგ ინგლისის პრესა ჰფიქრობს, რომ ჰომრულის საკითხის გამო მოლაპარაკება უეჭველად განახლდება. ასკვიტმა და ჩერჩილმა მთავრობის მხრით წარმოსთქვეს სიტყვები, მაგრამ მათი სიტყვებიდან სრულებით არა სჩანდა, რომ მთავრობას რისიმე დათმობა ჰსურდეს. ლენდსდაუნისა და ბალფურის სიტყვების მიხედვით, კონსერვატორები შეთანხმების საფუძველად სთვლიან ახალ და უფრო სერიოზულ დათმობას; მათის აზრით, მთავრობის წარმომადგენელთა მშვიდობიანი კილო იმის ნიშანია, რომ მთავრობა მზადაა ასეთი დათმობისათვის. ლენდსდოუნმა სხვათა შორის განაცხადა: „ოპოზიციის თვალსაზრისი ასეთია: მისი ზიზღი ჰომრულსადმი ისევე დარჩება, მიღება წინადადებისა რომ ოლსტერი გამოყოფილი იქნას, ამ დამოკიდებულებას ვერ შესცვლის. რასაკვირველია ეს გამოყოფა დროებითი არ უნდა იყვეს, არამედ სანამ თვით ოლსტერი მოინურვებს და სანამ პარლამენტი სხვა გზას არ დაადგება“.

**ახალი კონსტიტუცია ჩინეთში.**

18 აპრილს პეკინში გამოქვეყნდა ახალი წესები კონსტიტუციისა; ეს წესები ძალაში იქნება, სანამ მუდმივს საკონსტიტუციო კანონებს არ შემოიღებენ. უკანასკნელის შემუშავების წესები ასეთი იქნება: გეგმას ადგენს განსაკუთრებული, საგანგებო საბჭო ათი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც მთავრობა ჰნიშნავს. შემდეგ იგი დამტკიცებულ იქნებოდა ეროვნულ კრებისაგან, რომელსაც პრეზიდენტი იწვევს. ამ კრების შედგენის გზას იგივე კომიტეტი აღმოირჩევს. ახალი დროებითი კონსტიტუცია გასწევს 1912 წლის კონსტიტუციის მაგიერობას. პრეზიდენტი გამოცხადებულია პასუხისმგებლად ხალხის წინაშე. იგი მართვა-გამგეობის მეთაურია, ხელ-შეკრულებას სდებს უცხო სახელმწიფოებთან. მთავრობა შესდგება ვიცე-პრეზიდენტისაგან, სახელმწიფო მდივნისაგან და ცხრა მინისტრისაგან, რომელთაც პრეზიდენტი ჰნიშნავს. გარდა ამისა შესდგება კიდევ განცალკევებული სათათბირო ორგანო (საბჭო), რომლის თანხმობით პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა შეუძლიან, შეუძლიან აღკრძალოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი და ხელ-მეორედ განსახილველად დაუბრუნოს. ასეთ კანონის ხელ-მეორედ მიღებისათვის საჭირო იქნება ორი-მესამედი უმრავლესობა, მთავრობას უფლება აქვს პასუხი არ გასცეს პარლამენტის შეკითხვაზე.

## დეპეშები

(დაბეჭდილია „ტელეგრ. სააგენტოსაგან).

**29 აპრილი**

**შუალედი.**

**ბუდაპეშტი.** ავსტრიის დელეგაციის კომისიამ საზღვაო უწყების კრედიტი მიიღო.

**სტამბოლი.** გერმანიასთან ეკონომიური შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება ჯავიდ-ბეის მოთხოვნილებით სტამბოლში გადაიტანეს. მოლაპარაკების გათავების შემდეგ ჯავიდ-ბეი ბერლინში წავა შეთანხმების ხელ-მოსაწერად.

**მეტეი.** იმპერატორის დასწრებით სამხედრო ვარჯიშობა მოხდა. მონაწილეობა მიიღეს ჰაეროპლანებმაც.

**ბუდაპეშტი.** გარეშე საქმეთა კომისიამ გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი მიიღო.

**ნორფოლკი.** გემი „ჯეფერსენი“ სამანქანო განყოფილებაში აფეთქება მოხდა, 7 კაცი მოკვდა, რამდენიმე დაიღუპა.

**ლონდონი.** სამეფო აკადემიაში სუფრაჟისტმა — ქალმა გერკომერის მიერ დახატული სურათი ჰერცოგი ველინგტონი ნაჯახით დაკუწა. დამნაშავე დაატუსაღეს.

**მადრიდი.** ესპანიის სამხედრო რაზმმა მტრის ბანაკი დაანგრია. 14 კაცი მოჰკლეს. ესპანელებს 15 კაცი დაუკრეს. მოკლულ ცხენზედ იპოვეს მოსართავები, რომელიც რაისულს ეკუთვნოდა.

**ვენა.** ჰუნგრეთის დელეგაციის კომისიამ ერთდროს მიიღო საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა და ბერჰტოლდს ნდობა გამოუცხადა მასს საგარეო პოლიტიკაში.

**რომი.** კატანიაში მიწის ძვრა ჩვეულებრივი ყოფილა ეტნასა და ვეზუვიის უბნებში. მოკლულია 170.

**ტოკიო.** ადმირალების იამამოტოსა და საიტოს სამსახურიდან დათხოვნას საზოგადოება სიხარულით შეეგება.

**კატანია.** ბრონტეში ორჯერ იძრა მიწა. ეტნა ჰბოლავს და ფერფლს ისვრის.

**ლონდონი.** დანიის მეფე-დედოფალს სადღესასწაულო წარმოდგენა გაუმართეს. სუფრაჟისტ-ქალს უნდოდა წარმოდგენის დროს მეფე გიორგისთვის მიემართნა სიტყვით, მაგრამ დარბაზიდან გაიყვანეს.

**ათინა.** ვენიზელოსი დაბრუნდა.

**ნიუ-იორკი.** ვერაკრუცში დახლოცილი 17 ზღვათსანის გვამი სათხრეში გემის „მონტანინდგანნ“ ქალაქის საბჭოს სადგომში გადაიტანეს. საადმირალოსთან პროცესიას შეხვდა ვილსონი და თანაგრძნობის სიტყვა უთხრა. მან კვლავ განაცხადა, ამერიკელებს აგრესიული წადილი არა აქვთ, ისინი მხოლოდ ემსახურებიან კაცობრიობას და კერძოდ მექსიკელებს.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** სახელწიფო სათათბირო. შეკითხვათა კომისიამ ესტლანდიის გუბერნატორის მიერ მუშათა კრებების აკრძალვის შესახებ შეკითხვა უარჰყო, და მიიღო შეკითხვა ვილნოს გუბერნატორის ცირკულარის შესახებ, რომლითაც პოლონელების დედა-ენის უფლებას უზღუდავდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სათათბიროში შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც ორი მილიონი ეძლევა ხოლერისა და შავიპირის წინააღმდეგ საბრძოლველად. აქედან ერთი მილიონი ერობებსა და ქალაქებს გადაეცემა.

პეტერბურგის ქალაქის უფროსმა 1 მაისისთვის განცხადება გამოაკრა, რომლითაც მცხოვრებლებს ეკრძალებათ ყოველგვარი ყრილობა და მანიფესტაციები დამნაშავეთ 3 თვით დაატუსაღებენ.

**ოდესა.** გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა სალუმზე მიიწვია ოსმალეთის საგანგებო ელჩები.

**მოსკოვი.** მოსკოვის საბაჟოში ცეცხლი გაჩნდა. სამზღვარ-გარეთელი საქონლის ნაწილი დაიწვა. ზარალი 40000 მანეთისაა.

**კიევი.** გაიხსნა რუსეთის სავაჭრო სამრეწველო ბანკის განყოფილება.

**ერევანი.** ტფილისიდან ავტომობილით მოვიდა რუსეთის საავტომობილო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. საავტომობილო გზა მშვენიერია.

**პეტერბურგი.** დამზღვევი საზოგადოების „როსიას“ აქციონერთა საზოგადო კრებაზედ 1913 წლის ანგარიში დაამტკიცეს. წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონიათ—55904500 მან., ხარჯი—36811874 მანეთი. თითო აქციაზე წელს იღებენენ 42 მან. 50 კაპ.

**ოდესა.** იუსტიციის მინისტრმა სასამართლოები დაათვალიერა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანებით სამხედრო მინისტრი პეტერბურგიდგან შორეულ აღმოსავლეთში წავიდა.

მრეწველობის განყოფილების ცნობით 1 აპრილისთვის საქარხნო ოლქებში იყო 2683 საავადმყოფო კასა 1975088 წევრით.

## თეატრი და ხელოვნება

**ტფილისიდან დრ. დასის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში.**

ამ მოკლე ხანში დაიწყეს წარმოდგენების მართვას დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში ტფილისის დრ. დასი. წარმოდგენები გაიმართეა: გორში, ყვირილაში, ქუთაისში, ჭიათურაში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, ლანჩხუთში და სხ.

დასი ქ.-ქ. მ. მდივანი, პ. შოთაძე და სხ. ბ-ნი გუნია, შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ყალაბეგიშვილი, მგალობლიშვილი, ბარველი, ბეგლარიძე, ხონელი, გომელაური, თუხარელი.

რეპერტუარი: „ოტელო“ და „მეფე ლირი“, „ქრისტინე“ ახლად გადაკეთებული ბ. ირეთელის მიერ.

ადგილების ფასი ყველგან ხელმისაწვდენი იქნება.

დასს აქვს საკუთარი ისტორიული ტანისამოსი და საპარიკმახერო—ბუტაფორია.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ პატივცემული „სახალხო გაზეთის“ საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც მათხოვრის (ქვემო იმერეთშია) უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს. აი სია იმ პირთა: პროვიზორმა დ. გლუშაკოვმა 1 მ., ინსპექტორმა ს. მამადაძემ 1 მ., გიმნაზიის დირექტორმა პავლოვმა 1 მან., ექიმმა მ. ბახთაძემ 1 მ., მასწავლებელმა ა. ხარაბაძემ 50 კ., მასწავ. გ. ბახთაძემ 50 კ., მასწ. ქალმა ელ. ბახთაძემ 50 კ., მ. ჭელიძემ 50 კ., ე. ჭავჭანიძემ 50 კ., ს. ბალავაძემ 50 კ., სევ. ჩიქოვანმა 50 კ., ბ. ნადარეიშვილმა 50 კ., მარიამ ქუთათელაძის ასულმა გ. წერეთლის თხზ. 1 ნაწილი. კოლ. ჭავჭანიძემ 40 კ., მ. ჯანელიძემ 30 კ., მასწავლებელმა ლობჩევსკიმ 30 კ., ოლღა ხარებავამ 20 კ., ტ. ტაბიძემ 20 კ., №№ 20 კ., ა. ბახთაძემ 20 კ., მასწ. ა. კაკაბაძემ 20 კ., და ს. ჩირგაძემ 20 კ. ეს შემოწირულებანი მოკლე ხანში გადაეცემა პატ. სამკითხველოს გამგეობას.

**ლავრენტი ძიძიგური.**

რედაქტორი ნ. კუჭიდელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.


**ს ტ ო რ ა ჯ ნ ი ს გ ა ვ ო ც ე ბ ა.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თხზულებანი

**გიუ-დე მოპასანისა**

ტომი 1, ფასი 1 მანეთი.

**სრული სამზარეულო**

შედგენილი **კნ. ბარბარე ჯორჯაძის** მიერ. ფასი 1 მან., ყდით 1 მ. 40 მ.

მსურველს წიგნი ფასდადებითაც გაეგზავნება.

მისამართი: **Тифлисъ, типографія** Сорапань М. Гачечиладзе. 1161



**ქალაქის სავაჭრო ოფეგი**

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესანიშნავი გრაფის ქუჩიდან.

**ბაღლბრახა**—კახეთის ქ. 15.

**ხარფუხახა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიახა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბახა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები ბოდიანენი არიან დარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ. ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედ (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭირო შემთხვევებისა, როცა დანიშნულება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| | |
|---|---|
| უბნები | |
| 1—2 | **გ. ა. ბეგლარი** (ცდგან ვერა-ვოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ა. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. ს. ოთოფლიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **ბ. ლ. კაკაბაძეშვილი** (ავლაბარ., კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27). |
| 8—9 | **ე. ა. ბეგიან-ზასნაზარიანი** (ბონიბის ქ., № 28). |
| 10, 11—12 | **ა. ბ. ტერ-ნიკოგოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935). |



**მატარებლების მიმოსვლა**

**18 აპრილიდან.**

**ტფილისიდან გადის:**

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

**ბაქოსაკენ: ნარევი** № 22,—4 ს. 58 წ. შუადღ.; **სამგზავ.** № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; **სამგზავ.** № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; **ჩქარი** № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; **ხაფოხტო** № 4, 10 ს.—20 წ. საღ.

**ბათუმისაკენ: ნარევ.** № 21—2 ს. 59 წ. შუადღ.; **სამგზავრო** № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; **სამგზავ.** № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; **ჩქარი** № 5,—8 ს. 16 წ. საღ.; **ხაფ.** № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

**ბორჯომისაკენ: სამგზავ.** № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; **სამგზავ.** № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

**მცხეთისაკენ: ხაგზარაკა** № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; **ხაგზარაკა** № 63,—2 ს. 38 წ. დღისა.

**ტფილისიდან მოდის:**

**ბათუმიდან: ნარ.** № 22,—3 ს. 55 წ. ღამ. **სამგზავ.** № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; **სამგზავრო** № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; **ჩქარი** № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; **ხაფ.** № 4,—9 ს. 30 წ. საღ.

**ბაქოდან: ნარევი** № 21,—2 საათ. 17 წ. შუადღ.; **სამგზ.-ხაბარგ.** № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; **სამგზავ.** № 7,— 1 ს. 42 წ. დღით, **ჩქარი** № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; **ხაფ.** № 3,—8 ს. 58 წ. დილ.

**ბორჯომიდან: სამგზავ.** № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; **სამგზავ.** N 19/20,—7 ს. 25 დილ.

**მცხეთიდან: ხაგ.** № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; **ხაგ.** № 63,—8 ს. 48 წ. საღ.



**ემიგრანტებისადმი**

**პირველი კერძო სამპურნალო**

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფებს მიიღებ ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შემუხაკუნება**

**კონსულტაციისა.**

**ბ. ა. ნაგაბარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. ბ. ბაბანოვი:** 1—2 ს. ვაშვთა შინაგანი ავადმყ.

**ბ. ა. ბაბანოვი:** 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ბ. ბ. ბენიამინოვი:** 10—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

**მ. ბ. ავეტისიანი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.

**ა. ბ. კარაპეტიანი:** 12—1 ს. შინაგან აბავშვო. და ყვავილის აცრა.

ეკიმი ქალი **ო. ბ. ტერ-ბაბადოვა:** 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

**ს ა ლ ა ბ ო თ ი:**

**მ ბ. ბეტისიანი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მოიარიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ბ. ნაგაბარდიანი. 1071



**ეაქიმი** ნინო ზაზილაძე.

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.



**უფელგან მოითხოვეთ**

**„ამაზმორინ“-ი,**

უგბარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა

**ა. ე. ისაკიანცისა.**

ეს ფხვიერი ყოველად უვნებელია.

საუკეთესო მოწონების ბიროთები გვაქვს.

ფასი 20 კ.

**საწყობები:** ძმ. **ტერტეროვებიან** საფოთიქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 211



**ტ ფ ი ლ ი ს ი ს**

**ქალაქის გამგეობა**

**ამით საყოველთაოდ იუწყება,**

რომ შაბათს, 3 მაისს 1914 წელს შუადღის პირველ საათზე მისის თანადასწრებით იჯარით გაიცემა მაღაზიები საქალაქო სახლში,

**ერევნის მოედანზე, რომელიც ეხლა ქალაქის ლოთმბარდს უჭირავს.**

პირობების გადასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიაში საიჯარო მაგიდასთან ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. 1188



**თეგზის მრეწველნი**

**ძმ. ძეგველოვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**



**განყოფილება**

**ავლაბარში**

**ფოსტის განყოფილების ძმეშ, საკუთარ სახლში.**

**იყიდება**

**იმავე ხარისხის**

**საქონელი,**

**როგორც კუშკინის ქუჩაზე.**

1081

**იოვიათი შემთხვევა ალტაცებისა!**

ჩვენის ნივთების ხილვით განცვიფრდებით, როდესაც ნახავთ თუ რა იაფ ფასებს ვადებთ და **ეროდესაც დარწმუნდებით ჩვენის საქონლის ღირსებაში.**

**მხოლოდ 4 მ. 95 კ.-ად** ვგზავნით შემდეგ წყებას ძვირფას და სასარგებლო ნივთებისას: 1. საუცხოო უბის საათი ნამდვილ შავ ნაწრთობ ფოლადისა მოდური, **ძალიან თხელი**, იმართება ,,უნძიდან 40 საათში ერთხელ, ნამდვილი ნკერია, ქვეებიანი ან ქალებისა—ცილინდრი, შემოწმებული წუთი-წუთ, **უტყუარად სწორედ მოგუშავე**, 6 წლის თავდებობით. 2. მოხდენილი მოდური ძეწკვი ორკეცი ნამდვილი „დუბლის“ ლითონისა, კოლტა მოყვანილობისა. 3. მეტის-მეტად საგულისხმო ბრილიანტი; 4. საათისათვის მეშინა ბუდე; 5. საზღვარ-გარეთული ტყავის საფულე 6 განყოფილებანი და მექანიკურის საკეტით საუცხოო ჰარიზული ხელოვნებისა; 6. ,,ბუკ-ტემპელი, დამკვეთელის სახელითა, მამის სახელითა და გვარით; 7. საათის დამცველი ჯიბეგირეებისაგან; 8. მშვენიერი ნამუშევარი სათეატრო ბინოკლი, 4 ახრომატიულის შუშით, რომელიც საგნებს მეტად შორი მანძილიდან აახლოვებს; 9. სტერეოსკოპი ცოცხალი პანორამა, რომელიც ისე აჩვენებს, როგორც სინამდვილეშია; 10. ამისათვის მეტის-მეტად საგულისხმო 6 სურათი; 11. მოხდენილი ხ:ჩუქარი ქალებისათვის, დუბლე ოქროს ბეჭედი ფრანგულ ბრილიანტით, ასეთივე ბროშკა, და ერთი წყვილი საყურე ახალ-მოდური მოყვანილობისა; 12. შინაური საბეგვავი, 100 კაუჩუკის ასოთი და ციფრებით, თავისი ხელით ნაბეგვადა, რაც აუცილებელია ყოველი ოჯახისათვის; 13. ჯიბით სატარებელი ნიკელის საწერი მოწყობილობა; 14. ჯიბის ტუალეტი ნესესერი 4 საგულისხმო და აუცილებელის ნივთით; 15. **უკანასკნელი ახალი რამ:** რევოლვერი, მუდამ ჯიბით სატარებელი ასანთ; 16. საგულისხმო წიგნი თვალ-მაქცობისა, თანამედროვე 100 ილინგებით, **მთელი წყების** ფასი 4 მ. 95 კ., 2 **წყებისა**—9 მ. 80 კ. ასეთივე **წყება** საუკეთესო ღირსების და უმაღლესი ხარისხის ნივთებით—5 მ. 70 კ., ასეთი 2 **წყება**—10 მ. 80 კ. თითოეული **წყება ხუთა**ვიანის საათით 1 მანეთით მეტი ღირს.

გირჩევთ დაიბაროთ უმაღლესი ხარისხისა, რადგანაც ფასში განსხვავება მცირეა, ღირსებაში კი უდიდესი. ვგზავნით ფასდად. და უბეოდ. **გამოსაგზ. არის 45 კ.** (ცომბირში **80 კ.**).

მისამართი: Т—во „Патентъ“, Варшава, Св. Креста, отд. 127.

Метиль. 29510 1183



**ტფილისიდან შემთხვევით მალე სხვაგან**

**გამგზავრების გამო**

ვყიდი თავისუფალს, დაუგირავებელს, ცარიელს, და ოთხივ მხრივ თანასწორს ნაპერს მიწისას, 1000 ოთხკუთხი საჟ. სივრცით, 22½ **საჟენს** შუბლით (ფასადი) ტფილისის მე-10 ნაწილში, დიდი მთავრის ქუჩაზე, № 89, ვაჟთა მეორე გიმნაზიის პირდაპირ, სადაც ახლა არის ველოსიპედისტების ტრეკი.

ფასის შესახებ ჰკითხეთ თვით მამულის პატრონსა, იაკობ იოვანეს ძეს გურგენოვს, განოვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, № 10, დილობით 10—1 საათამდე შუადღისა. მაშვალებს (მაკლერებს) ვსთხოვ არ მოვიდნენ. 304



**მაღაზია**

**„ეჭსელანს“-ი**

**სავ. სახ. ა. ე. და ა. დ. აკოფჯანოვებისა** და **ამხ.**

**ტფილისი, გოლოვინის პროსპ., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, ტელეფ. № 6—96.**

რადგანაც მომდინარე სეზონისათვის დიდძალი რჩეული შეკერილი ტანისამოსი მივიღეთ **ქალებისა, ქალებისა** და **ბავშვებისა**, და რადგანაც გვინდა, რომ საქონელი მეორე სეზონისათვის არ დარჩეს,

**უდიდესი იაფი ვაჭრობა**

**კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება.**

მაღაზიაში დაწყობილი ყველა საქონელი გაიყიდება **მიტის-მეტად იაფ-ფასებში**, სახელდობრ:

| | | |
|---|---|---|
| მანტო ქალებისა მოდური | 13 მ.-დან | უფრო ძვირად. |
| კოსტუმები ქალებისა | 20 მან.-დან. | „ |
| კოსტუმები კაცებისა | 10 მანეთიდან | „ |
| საზაფხულო პილობის ტუტურ. | 7 მ.-დან | „ |

პალტო საზაფხულო 10 მ.-დან. მივიღეთ აგრეთვე ბევრი **რჩეული საქონელი** რუსული და ინგლისური, ყოველ-გვარ შეკვეთის მისაღებად, რაც სწარმოებს ჯამოცდილ გამომჭრელთა ხელმძღვანელობით.

**საგანგებოდ შეკვეთას 24 საათში ვამზადებთ.**

**ისარგებლეთ შემთხვევით! მხოლოდ რამდენსამე დღეს! ფასები შეუშაბამებლად!** 1120